საქართველოს მთავრობის

დადგენილება №109

2026 წლის 13 მარტი

ქ. თბილისი

„შრომით იმიგრანტსა და თვითდასაქმებულ უცხოელზე შრომითი საქმიანობის უფლების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 20 თებერვლის №70 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „შრომით იმიგრანტსა და თვითდასაქმებულ უცხოელზე შრომითი საქმიანობის უფლების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 20 თებერვლის №70 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 20/02/2026, 270000000.10.003.025619) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „შრომით იმიგრანტსა და თვითდასაქმებულ უცხოელზე შრომითი საქმიანობის უფლების გაცემის წესის“ მე-5 მუხლის:

1. პირველ პუნქტს „ზ.ბ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ.ბ^{1}“ ქვეპუნქტი:

„ზ.ბ^{1}) იმ უცხოელებზე, რომელთა მიმართებითაც სახელმწიფო დაწესებულებ(ებ)ის შუამდგომლობით იკვეთება სამუშაოს კონკრეტული უცხოელის მიერ პირადად შესრულების მნიშვნელობა და დასაბუთებული აუცილებლობა;“.

2. მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^{1} პუნქტი:

„2^{1}. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ზ.ბ^{1}“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის წამოყენებისას არ იკვეთება სამუშაოს კონკრეტული უცხოელის მიერ პირადად შესრულების მნიშვნელობა და აუცილებლობა, სააგენტო უფლებამოსილია, ადგილობრივ შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნებისა და საჭიროებების, აგრეთვე საამისოდ მნიშვნელოვანი სხვა გარემოებების (შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკა, სამუშაოს შესასრულებლად ინდივიდუალური მახასიათებლების საჭიროება, შემსრულებლის რეპუტაცია, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესი ან/და სხვა ფაქტორები) გათვალისწინებით, აღნიშნულ სამუშაო პოზიციაზე გაავრცელოს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ – „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პროცედურა.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**